საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2021

I კვარტალი

18.05.2021

www.geostat.ge

18.05.2021

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2021 წლის I კვარტალი)

სასაკლაოები

2021 წლის I კვარტალში საქართველოში 101 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 21.8 პროცენტი - ქვემო ქართლში, 14.9 პროცენტი - კახეთში, 13.9 პროცენტი - იმერეთში, 11.9 პროცენტი - შიდა ქართლში, 11.9 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 25.7 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის I კვარტალი



18.05.2021

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის I კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 67.9 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 36.1 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 63.9 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2 863.9 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2021 წლის I კვარტლის განმავლობაში 8 943.0 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 30.4 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 44.7 პროცენტი - ფრინველის, 24.0 პროცენტი - ღორის, 0.8 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 8.0 ათას პირს, საიდანაც 29.1 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 844 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 29.1 ლარი, ცხვრის ან თხის - 13.2 ლარი, ხოლო ღორის - 25.7 ლარი.

18.05.2021

სამაცივრე მეურნეობები

2021 წლის I კვარტალში საქართველოში 136 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის (62.5 პროცენტი) რეგიონშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქ. თბილისში (9.6 პროცენტი), ქვემო ქართლის (7.4 პროცენტი), აჭარის (7.4 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (5.1 პროცენტი), იმერეთის (2.9 პროცენტი), კახეთის (2.2 პროცენტი), გურიის (1.5 პროცენტი) და მცხეთა-მთიანეთის (1.5 პროცენტი) რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის I კვარტალი



2021 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 243 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 307 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 1086 კაცით განისაზღვრა.

18.05.2021

2021 წლის I კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 55.9 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 52.2 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 20.2 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 12.5 პროცენტი ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 9.9 პროცენტი თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2021 წლის I კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2021 წლის I კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 6.2 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 4.9 მლნ. ლარი შეადგინა.

2021 წლის I კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 49.3 მლნ. ლარის ღირებულების (11.6 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში იმპორტირებულმა პროდუქციამ შეადგინა 35.9 პროცენტი, ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების პროდუქციამ - 41.9 პროცენტი. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 63.9 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (47.8 პროცენტი), პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (25.0 პროცენტი) და თევზეული (17.6 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე თევზეული, ქათმის ხორცი, ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 61.0 პროცენტს, თებერვალში - 56.0 პროცენტს, ხოლო მარტში - 47.7 პროცენტს.

ელევატორები

2021 წლის I კვარტალში საქართველოში 46 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც კახეთის (41.3 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 23.9 პროცენტი ფუნქციონირებს ქვემო ქართლის რეგიონში, 15.2 პროცენტი - შიდა ქართლის რეგიონში, 8.7 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 4.3 პროცენტი - ქ. თბილისში, 4.3 პროცენტი იმერეთის და 2.2 პროცენტი გურიის რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის I კვარტალი



2021 წლის I კვარტლის განმავლობაში მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 94 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 912 კაცით განისაზღვრა.

2021 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 121.7 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 79.9 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქატო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2021 წლის I კვარტალი



2021 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 108.1 მლნ. ლარის ღირებულების 103.5 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 47.7 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 78.7 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 38.3 პროცენტს, თებერვალში - 37.5 პროცენტს, ხოლო მარტში 35.9 პროცენტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ.: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge